რამადანს ერთი ან ორი დღით ადრე მარხვით არ შეეგებოთ, გარდა იმ კაცისა, რომელიც მარხულობდა მანამდე, მან იმარხოს

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «რამადანს ერთი ან ორი დღით ადრე მარხვით არ შეეგებოთ, გარდა იმ კაცისა, რომელიც მარხულობდა მანამდე, მან იმარხოს».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა მუსლიმისთვის რამადანამდე ერთი ან ორი დღით ადრე მარხვა იმ განზრახვით, რომ ეს იყოს სიფრთხილის მიზნით რამადანისთვის, რადგან რამადანის მარხვის ვალდებულება დაკავშირებულია ახალი მთვარის ხილვასთან, და არ არის საჭირო ზედმეტი სირთულის შექმნა. თუმცა თუ ვინმე რეგულარულად მარხულობს ნაფილე მარხვას, როგორიცაა: მარხვა დღეგამოშვებით, ორშაბათისა და ხუთშაბათის მარხვა, და იმ დღეს შემთხვევით თუ დაემთხვევა რამადანის წინა დღე, მაშინ მას შეუძლია იმარხულოს, რადგან ეს არ განიხილება, როგორც რამადანის მიღება. ამავე წესს ექვემდებარება სავალდებულო მარხვა, როგორიცაა გამოტოვებული დღეების ან აღთქმის მარხვის ანაზღაურება.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4508